

PRO V&V



6705 Odyssey Drive
Suite C
Huntsville, AL 35806
ტელ: (256)713-1111

არჩევნებზე დაკვირვების ანგარიში

დამოუკიდებელი აუდიტორული მომსახურება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის (ცესკო)

Pro V&V პროექტის ნომერი: 01-03-RGE

ვერსია: 01

თარიღი: 11/05/2024



U.S. Election Assistance Commission

VSTL

EAC Lab Code 1501

NVLAP®

TESTING
NVLAP LAB CODE 200978-0

არჩევნებზე დაკვირვების ანგარიში

TR-01-03RGE-EOA-01.01

ხელმოწერები

დამტკიცებულია: მაიკლ უოლკერი, VSTL პროგრამის მენეჯერი; (ხელმოწერილია)
თარიღი: 11/05/2024

დამტკიცებულია: ვენდი ოუენსი, VSTL პროგრამის დირექტორი; (ხელმოწერილია)
თარიღი: 11/05/2024

დამტკიცებულია: სტეისი გლოვერი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი; (ხელმოწერილია)
თარიღი: 11/05/2024

დამტკიცებულია: ჯეკ ქობი, ლაბორატორიის დირექტორი; (ხელმოწერილია)
თარიღი: 11/05/2024

დისკლეიმერი: ეს კამპანია შემოწმებულია EAC-ის მიერ აკრედიტებული VSTL-ის მიერ, VVSG-ს მოქმედი სტანდარტების მიხედვით. ტესტირებები განხორციელდა EAC-ს ტესტირების და სერტიფიცირების პროგრამის ფარგლებს გარეთ.

სარჩევი

1.0 შესავალი

- 1.1 გამოყენებული მასალები
- 1.2 აუდიტორის აკრედიტაცია
- 1.3 ზოგადი ინფორმაცია
- 1.4 აუდიტის საგანი

2.0 არჩევნებზე დაკვირვების აუდიტი

- 2.1 აუდიტის პროცესი
- 2.2 არჩევნებზე დაკვირვების აუდიტის შედეგები

3.0 მნიშვნელოვანი შენიშვნები

4.0 დასკვნა

დანართი „A” - ჩეკლისტი

დანართი „B” - წერილი/ანგარიში

1.0 შესავალი

ამ აუდიტის დასკვნის მიზანია იმ პროცესებისა და პროცედურების დოკუმენტირება, რომლებიც Pro V&V, Inc.-მა განახორციელა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის (ცესკო) შესაბამისობის აუდიტორული მომსახურების გაწევისას. აღნიშნული მომსახურება მოიცავდა შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას მოახლოებული არჩევნების ფარგლებში, რომელიც ჩატარდება (ჩატარდა) ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. კონკრეტულად, აუდიტი ორიენტირებულია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე.

კამპანიის მოთხოვნებისთვის შესასრულებლად, Pro V&V-მ ჩაატარა:

- არჩევნებზე დაკვირვების აუდიტი, 26 ოქტომბრის არჩევნების პროცესზე დაკვირვების და ელექტრონული არჩევნების სწორად ჩატარების შემოწმების მიზნით.

ამ დასკვნაში წარმოდგენილია არჩევნებზე დაკვირვების შედეგები.

1.1 გამოყენებული მასალა

- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილება
- საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ივლისის №28/2024 დადგენილება

1.2 აუდიტორის აკრედიტაცია

Pro V&V-მ წარმატებით შეასრულა როგორც ეროვნული სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (NIST), ასევე არჩევნების მხარდაჭერის კომისიის (EAC) საარჩევნო სისტემების ტესტირების ლაბორატორიის პროგრამის ტესტირებისა და პროცედურული მოთხოვნები და აკრედიტებულია როგორც EAC-ის ხმის მიცემის სისტემების ტესტირების ლაბორატორია (VSTL). Pro V&V-ს აკრედიტაციაში შედის:

- NIST-ის დოკუმენტაცია Pro V&V-ისთვის (NVLAP ლაბორატორიის კოდი 200978-0):
 - აკრედიტაციის ფარგლები ISO/IEC 17025:2017-ში, ხმის მიცემის სისტემების ტესტირების მიმართულებით
 - აკრედიტაციის სერტიფიკატი ISO/IEC 17025:2017-ში, ხმის მიცემის სისტემების ტესტირების მიმართულებით
- EAC-ს დოკუმენტაცია Pro V&V-ისთვის (EAC ლაბორატორიის კოდი 1501):
 - აკრედიტაციის სერტიფიკატი ხმის მიცემის სისტემების ტესტირებისთვის, ნებაყოფლობითი ხმის მიცემის სისტემების გაიდლაინები VVSG 1.0, 1.1 & 2.0

1.3 ზოგადი ინფორმაცია

შემოწმებები ჩატარდა Pro V&V, Inc.-ის ხელმძღვანელობით და Pro V&V, Inc.-ის მიერ დამოწმებული კვალიფიციური პერსონალის მიერ. შემოწმება ჩატარდა საქართველოში, ქ. თბილისში.

1.4 აუდიტის საგანი

შემოწმებული მოწყობილობები მითითებულია ქვემოთ:

- ამომრჩეველთა ვერიფიკაციის აპარატები (VIU Desktop 818-100)
- ხმების დათვლის სპეციალური ელექტრონული მოწყობილობები (PCOS SAES-1800Plus)
- ტაბლეთ-კომპიუტერი (Lenovo Tab K11)

2.0 არჩევნებზე დაკვირვება

Pro V&V დააკვირდა არჩევნების ჩატარების პროცესს, კერძოდ უბნების კომისიის წევრებს, უბნის ტექნიკურ პერსონალს (რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აპარატების ტექნიკურ მხარდაჭერაზე), ასევე თავად ამომრჩეველებს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის პერსონალთან დაკავშირებით, აუდიტი ფოკუსირებული იყო არჩევნების დღისთვის მათი მზადყოფნის შეფასებაზე, ხოლო ამომრჩეველების შემთხვევაში ყურადღება გამახვილდა ხმის მიცემის აპარატებით სარგებლობაზე. ამასთან, შეფასდა შედეგების გადაცემა, სიზუსტისა და ეფექტურობის დასადგენად.

2.1 აუდიტის პროცესი

აუდიტის გასამართივებლად, Pro V&V-მ შეიმუშავა ჩეკლისტი (იხ. დანართი A), რომელიც გამოყენებული იქნებოდა არჩევნებზე დაკვირვებისას. Pro V&V-ს აუდიტორთა სამი ჯგუფი (თითოეულში ორი წევრი) ატარებდა დაკვირვებას სხვადასხვა უბნებზე და ამოწმებდა ელექტრონული არჩევნების პროცესს. Pro V&V-ს დაკვირვების ძირითადი არეალი მოიცავდა თბილისს და მის შემოგარენს, ასევე გორსა და თელავს. თითოეულ ჯგუფს დაგეგმილი ქონდა 20 საარჩევნო უბნის მონახულება. ჯგუფები მუშაობდნენ იმ პრინციპით, რომ დაბრუნებულიყვნენ თბილისში, თავისუფლების მოედნის მიმდებარე არეალში, რათა დაკვირვებოდნენ სამი სხვადასხვა ლოკაციიდან შეჯამებული შედეგების გადაცემას.

Pro V&V-მ პროექტის პირველი ეტაპის (პროგრამული განახლებები) ფარგლებში ჩაატარა ფუნქციური რეგრესიული ტესტირება. ამ ეტაპზე ჩატარებული ტესტირების შედეგები მოცემულია Pro V&V-ს დასკვნაში TR-01-03-RGE-SCR-01.02 (საწყისი კოდის შემოწმების დასკვნა). ტესტირებისთვის გამოყენებული ყველა მოწყობილობა

წარმოების ხაზიდან იქნა აღებული. Pro V&V-მ ტესტირებები ჩაატარა შეფერხებების გარეშე.

ამასთან, პროექტის მეორე ეტაპზე (არჩევნების კონფიგურაცია) Pro V&V-მ ჩაატარა კონფიგურაციის აუდიტი. ამ ეტაპზე ჩატარებული ტესტირების შედეგები წარმოდგენილია Pro V&V-ს დასკვნაში TR-01-03-RGE-CA-01.01 (კონფიგურაციის აუდიტის დასკვნა). ტესტირების ამ ეტაპზე, Pro V&V დააკვირდა აპარატების კონფიგურაციის პროცესს და შეამოწმა ყველა საჭირო ფაილი პროცესის სერტიფიცირების მიზნით. აუდიტის მიზანი იყო:

- დადასტურება, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის სერვერებზე არსებული ამომრჩეველთა სიები აპარატებში შეყვანილი სიების იდენტურია.
- ხმის მიცემის აპარატებისთვის კანდიდატთა სიების სიზუსტის შემოწმება და მათი სისწორის დადასტურება.
- კონფიგურაციის მთელი პროცესის აუდიტი, მათ შორის სამუშაო პროცესის და ხარისხის კონტროლის მრავალდონიანი პროცესის.

2.2 არჩევნებზე დაკვირვების შედეგები

აუდიტის ჩეკლისტში მითითებულია საარჩევნო უბანი, დაკვირვების დრო და Pro V&V-ს აუდიტის ჯგუფის წევრები, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ დაკვირვებაზე. ჩეკლისტში ასევე მითითებული იყო კონკრეტული შემოწმებები და ინტერესის ობიექტები. გათვალისწინებული იყო ამომრჩეველთა სიის სწორად ჩვენების გადამოწმებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი ხმის მიცემის აპარატების მოწყობა, გადასატანი საარჩევნო ყუთის ჩვენება, მაქსიმუმ სამი ამომრჩევლის შესვლისა და გასვლის დრო, ასევე გამოუყენებელ კარებებზე დამცავი ლუქები და საკეტები და PCOS-ების რაოდენობა. დამატებით, დაფიქსირდა დაკვირვების დროს შედეგების გადაცემა და დაჯამება, ასევე დაკვირვების პროცესთან დაკავშირებული სხვა შენიშვნები.

დასკვნების შეჯამება

სულ დაკვირვება მოხდა 168 ამომრჩეველზე, 68 აქტივობაში, 01, 02, 03, 04, 05, 06, 11, 17, 30 და 32 ოლქებზე.

ცხრილი 2.1 არჩევნებზე დაკვირვების მეტრიკა

გადამოწმება / ინტერესის არეალი	თბილისი	გორი	თელავი	შენიშვნები
ამომრჩევლები	86	36	46	ზოგიერთ ხმის მიცემის უბანზე დაფიქსირდა გრძელი რიგები, თუმცა, უმეტეს უბანზე მხოლოდ რამდენიმე ამომრჩეველი იყო.
ხმის მიცემის საშუალო დრო (წუთი)	3.1	2.92	2.70	ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 2.91 წუთს.
ამომრჩეველთა სიის სწორად ჩვენება	100%	100%	100%	ამომრჩეველთა სიის მოძიება შესაძლოა გართულებულიყო, თუმცა სიები ადგილზე იყო.
მონაცემების წარმატებით დაჯამება და გადაცემა	Yes	Yes	Yes	Pro V&V დააკვირდა მონაცემების მხოლოდ საბოლოო გადაცემას.
დაჯამებული მონაცემების გადაცემის დრო (წუთები)	20:15	20:53	20:50	ახალი სისტემის გამო, პროცესს მოსალოდნელზე მეტი დრო დასჭირდა, თუმცა წარმატებით განხორციელდა სამივე ლოკაციაზე.

* ერთი ამომრჩევლის გავლის საშუალო დრო და არა მთელ უბანზე ამომრჩეველთა გავლის საშუალო სიჩქარე.

3.0 საყურადღებო საკითხები

Pro V&V-მ დააფიქსირა რამდენიმე შემთხვევა, სადაც ხმის მიცემის პროცესში წარმოიშვა პრობლემები. პერსონალის მიერ გამოყენებული პროცესებით და პროცედურებით თითოეული პრობლემა წარმატებით წყდებოდა, რაც ამომრჩევლებს საშუალებას აძლევდა მიეცათ ხმა. Pro V&V-მ დააფიქსირა რამდენიმე მნიშვნელოვანი შემთხვევა, სადაც პერსონალმა სწორად იმოქმედა:

17.23 ხმის მიცემის უბანზე, დაახლოებით 13:42 საათზე, ამომრჩეველს გაუჭირდა PCOS 2-ში ბიულეტენის მოთავსება. ბიულეტენის მოთავსების რამდენიმე

მცდელობის მიუხედავად, სკანერი უბრალოდ არ იღებდა ბიულეტენს კონვერტიდან. PCOS 1-თან მყოფმა თანამშრომელმა ამომრჩეველს შესთავაზა ბიულეტენის PCOS 1-ში მოთავსება. განმეორებითმა მცდელობამ შედეგი არ გამოიღო და სკანერმა კვლავ არ მიიღო ბიულეტენი. PCOS 1-თან მყოფმა თანამშრომელმა თავად სცადა ბიულეტენის მოთავსება, თუმცა უშედეგოდ. საბოლოოდ, PCOS 1-თან მდგომმა თანამშრომელმა შეამოწმა კონვერტი და აღმოაჩინა, რომ კონვერტში ორი ბიულეტენი იდო. მიმართეს უბნის კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც გამოართვა კონვერტი ამომრჩეველს. თავმჯდომარემ ამომრჩეველს სთხოვა, დაბრუნებულიყო ხმის მიცემის კაბინაში და შემდეგ გადასცა კონვერტი და სთხოვა ერთი ბიულეტენის დაბრუნება. ამომრჩეველმა ერთი ბიულეტენი გადასცა თავმჯდომარეს, რომელმაც საჯაროდ გამოაჩინა ცარიელი ბიულეტენი და დააბრუნა VIU ტერმინალზე. შემდეგ, ამომრჩეველი მივიდა PCOS 1-თან და წარმატებით მოათავსა ბიულეტენი აპარატში.

17.24 საარჩევნო უბანზე, დაახლოებით 13:55 საათზე, ამომრჩეველი მივიდა VIU ტერმინალთან ხმის მისაცემად. ჩაირთო "სიგნალი", რაც ნიშნავდა, რომ მას ამ ლოკაციაზე ხმის მიცემის უფლება არ ჰქონდა. ამომრჩეველი უბნის თავმჯდომარესთან მიიყვანეს. მეორე ამომრჩეველი მივიდა იმავე VIU ტერმინალზე და "სიგნალი" კვლავ ჩაირთო. ისიც თავმჯდომარესთან მიიყვანეს. პირველ ამომრჩეველთან დაკავშირებით, VIU ტერმინალზე მოძებნეს ინფორმაცია და გაირკვა, რომ იგი არასწორ საარჩევნო უბანში იმყოფებოდა და მიუთითეს სწორი უბნის მისამართი. მეორე ამომრჩეველის შემთხვევაში დადგინდა, რომ იგი სწორ საარჩევნო უბანზე იყო მისული. ამომრჩეველმა რეგისტრაციისთვის პასპორტი გამოიყენა, ნაცვლად პირადობის მოწმობისა და VIU-ს ოპერატორმა პასპორტის ნომერი არასწორად შეიყვანა. შემდეგ ამომრჩეველის პირადი ნომერი სწორედ შეიყვანეს, ამომრჩეველს გადასცეს ბიულეტენი და მან მისცა ხმა.

05.56 საარჩევნო უბანზე, დაახლოებით 17:06 საათზე, ხანდაზმული ამომრჩეველი აძლევდა ხმას ოჯახის წევრის თანხლებით. ამომრჩეველმა ბიულეტენი არასწორად შეავსო და მოითხოვა მეორე ბიულეტენი. უბნის თავმჯდომარემ ბიულეტენი დაკეცა, კუთხეები სტეპლერით დაამაგრა და სხვა დაზიანებულ ბიულეტენებთან ერთად დადო. შემდეგ ამომრჩეველს გადასცეს ახალი ბიულეტენი და მან მისცა ხმა.

03.06 უბანზე, დაახლოებით 14:38 საათზე დაფიქსირდა პრობლემა, რომელიც ვერ გადაწყდა. Pro V&V-ს ადგილზე მყოფი ჯგუფის ყველა წევრი ვერ შევიდა უბანზე, მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდათ შესაბამისი სერტიფიკატები, რომლებიც მათ უფლებას აძლევდა შესულიყვნენ ნებისმიერ საარჩევნო უბანზე. უბნის თავმჯდომარე ტელეფონით დაუკავშირდა თავის ხელმძღვანელს, თუმცა, ჯგუფის წევრებს შესვლის უფლება კვლავ არ მიეცათ.

4.0 დასკვნა

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ჩატარებული დაკვირვება წარმატებით დასრულდა და Pro V&V-ს პრობლემები არ გამოუვლენია. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმატებით განახორციელა პროცედურები, რომლებიც ადრე ჩატარებული რვა პილოტის ფარგლებში გამოიყენებოდა და მოახდინა მათი ქვეყნის მასშტაბით გამოყენება, პირველ ელექტრონულ არჩევნებში. Pro V&V-მ დაადგინა, რომ არჩევნების ჩატარების პროცესები და პროცედურები იყო შესაფერისი და პერსონალი კარგად იყო მომზადებული. ქვეყნის მასშტაბით ხმის მიცემის ახალი ელექტრონული სისტემის პირველად დანერგვისთვის, პერსონალი კარგად იყო მომზადებული და სწორად წარმართა პროცესები, რომლებსაც Pro V&V დააკვირდა. ამომრჩევლებს მიეცათ შესაძლებლობა წარმატებით დაეფიქსირებინათ თავიანთი არჩევანი.

დანართი A – არჩევნებზე დაკვირვების ჩეკლისტი

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები საქართველოში

საარჩევნო უბანი: _____ დრო: _____

დამკვირვებელი 1 : _____

დამკვირვებელი 2: _____

ამომრჩეველთა სიის ჩვენება: კი არა

ამომრჩეველთა სიების რაოდენობა: _____

ADA მოწყობილია: კი არა

გადასატანი საარჩევნო ყუთი: კი არა

PCOS 1: _____ PCOS 1: _____ PCOS 1: _____

ხმის მიცემის ხანგრძლივობა:

ამომრჩეველი 1. შესვლა: გამოსვლა: შენიშვნა:

ამომრჩეველი 2. შესვლა: გამოსვლა: შენიშვნა:

ამომრჩეველი 3. შესვლა: გამოსვლა: შენიშვნა:

მონაცემების გადაცემაზე დაკვირვება კი არა

მონაცემების გადაცემის დრო: რაოდენობა:

დაჯამებული მონაცემების გადაცემაზე დაკვირვება კი არა

მონაცემების გადაცემის დრო: რაოდენობა:

ზოგადი შენიშვნები:

დამკვირვებელი 1. ხელმოწერა: _____

დამკვირვებელი 2. ხელმოწერა: _____

დანართი „B” - წერილობითი ანგარიში



წერილობითი ანგარიში

ადრესატი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

ავტორი: ჯეკ კობი - Pro V&V, Inc.

CC: Michael Walker - Pro V&V, Inc., Wendy Owens - Pro V&V, Inc.

თარიღი: 2024 წლის 31 ოქტომბერი

თემა: შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურება: ეტაპი 2 – არჩევნების კონფიგურაცია

ამ წერილის მიზანია Pro V&V, Inc-ის მიერ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის (ცესკო) განხორციელებული შესაბამისობის დამოუკიდებელი აუდიტის მომსახურების მე-2 ეტაპის ანალიზი. აღნიშნული მომსახურების მოთხოვნების შესასრულებლად, Pro V&V-მა ჩაატარა საარჩევნო კონფიგურაციის აუდიტი, რომლის მიზანი იყო ყველა საარჩევნო აპარატში ჩატვირთული ინფორმაციისა და, ზოგადად, პროგრამების (კონფიგურაციის) სიზუსტის შემოწმება.

წინასიტორია

მე-2 ეტაპის ტესტირებისას, Pro V&V-მა განახორციელა დაკვირვება აპარატების კონფიგურაციის საერთო პროცესზე და შეისწავლა ყველა აუცილებელი ფაილი საარჩევნო პროცესის სისწორის დადასტურების მიზნით. აუდიტის მიზანი იყო:

- ცესკოს სერვერებზე არსებული ამომრჩეველთა სიებისა და მანქანებში შეყვანილი ამომრჩეველთა სიების იდენტურობის დადასტურება;
- საარჩევნო აპარატში შეყვანილი კანდიდატთა სიის სიზუსტის შემოწმება და მისი ვალიდურობის დადასტურება;
- მთლიანი კონფიგურაციის პროცესის, მათ შორის, სამუშაო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მრავალშრიანი პროცესის აუდიტი.

მე-2 ეტაპის ანალიზი

მე-2 ეტაპით გათვალისწინებული ამოცანების ანალიზისას, Pro V&V-მა შეაფასა IDMS პანელი, ამომრჩეველთა მონაცემების ბაზა და მხარეებისთვის გადაცემული ამომრჩეველთა სია. შეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, Pro V&V-მა დაწერა შემდეგი სამი SQL ალგორითმი:

- 1) ამომრჩეველთა მთლიანი ოდენობის დათვლა, რაც შეიძლება მოიცავდეს დუბლირების შემთხვევებს
- 2) ამომრჩეველთა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრების დათვლა, რაც არ შეიძლება მოიცავდეს დუბლირების შემთხვევებს
- 3) ამომრჩეველთა მონაცემების დაჯგუფება და იმ საიდენტიფიკაციო ნომრების გამოცალკევება და დათვლა, რომლებიც მეორდება.

შედეგები

პირველმა და მეორე შემოწმებამ დაადასტურა ამომრჩეველთა ერთი და იგივე რაოდენობა. მესამე შემოწმებამ აჩვენა „ნული“, რაც ნიშნავს, რომ არც ერთი ამომრჩეველის საიდენტიფიკაციო ნომერი არ დაფიქსირებულა ერთ ჯერზე მეტად, ანუ დუბლირების შემთხვევები არ გამოვლენილა. IDMS პანელიდან აღებული შემთხვევითი ნიმუში შედარდა ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზასთან. ამ მიზნით, IDMS პანელიდან აღებულ იქნა ამომრჩეველის საიდენტიფიკაციო ნომერი და ის შემოწმდა ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზაში. ყველა ასეთი შემოწმების შედეგად, დადასტურდა ამომრჩეველის მონაცემის შესაბამისობა. მონაცემთა ბაზაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ამოღებული ამომრჩეველების საიდენტიფიკაციო ნომრები შეყვანილ იქნა IDMS პანელში. მონაცემთა ბაზაში არსებული ამომრჩეველები IDMS პანელზეც დაფიქსირდა, ხოლო მონაცემთა ბაზაში არარსებული ამომრჩეველები არც IDMS პანელზე დაფიქსირებულა. ამის შემდეგ, შემოწმდა პარტიების ამომრჩეველთა სიები. შემოწმების შედეგად დაფიქსირებული ამომრჩეველთა რაოდენობა დაემთხვა პირველი და მეორე შემოწმების შედეგებს.

დასკვნა

საიდენტიფიკაციო ნომრის გრაფა წარმოადგენს მთავარ გასაღებს (იდენტიფიკატორს) ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზაში. მთავარი იდენტიფიკატორი უნიკალურია და მისი დუბლირება ერთი და იმავე ცხრილში შეუძლებელია. ამომრჩეველთა ცხრილების შეფასებისას, Pro V&V-ის დასკვნა არის ის, ცხრილებში საიდენტიფიკაციო ნომრების დუბლირების შემთხვევები გამოვლენილი არ არის. გარდა ამისა, ჩატარდა საწყისი კოდების შემოწმებები 2023 წელს და მოცემული შეფასების პირველ ეტაპზე. ამ შემოწმების შედეგად, გამოვლინდა, თუ როგორ უზრუნველყოფდა ამომრჩეველის იდენტიფიცირების ბლოკი (VIU) კონკრეტული ლოკაციებისთვის მონაცემთა შეგროვებას და როგორ იქმნებოდა ამომრჩეველთა სიები - USB მოწყობილობის ჩართვიდან სიის სრულად დაკომპლექტებამდე. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, და სამი შემოწმების შედეგად, საიდენტიფიკაციო ნომრის დუბლირების არც ერთი შემთხვევა არ გამოვლენილა მთელ რიგ უბნებზე, ამომრჩეველის იდენტიფიცირების ბლოკში

(VIU) ან ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზაში.

თუ გესაჭიროებათ დამატებითი ინფორმაცია ან აღნიშნული საკითხის უფრო დეტალურად განხილვა, გთხოვთ, დამიკავშირდით.

პატივისცემით,



ჯეკ კობი
VSTL-ის ლაბორატორიის დირექტორი